



შპს „ჯეოსთილი“

მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება

(აირგამწმენდი სისტემის 480 000 მ³/სთ წარმადობის გამწოვი ვენტილატორის ახალი 560 000 მ³/სთ წარმადობის ვენტილატორით შეცვლა, არსებული მექანიკური გამაგრილებლის თანამედროვე ტიპის გამაგრილებლით შეცვლა და 70 000 მ³/სთ წარმადობის დამატებითი ვენტილატორის მოწყობა)

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი

შპს „გამა კონსალტინგი“

დირექტორი

ზ. მგალობლიშვილი

2021 წელი

GAMMA Consulting Ltd. 19d. Guramishvili av, 0192, Tbilisi, Georgia
Tel: +(995 32) 261 44 34 +(995 32) 260 15 27 E-mail: zmgreen@gamma.ge; j.akhvlediani@gamma.ge
www.facebook.com/gammaconsultingGeorgia

სარჩევი

1	შესავალი	4
2	საწარმოს მიმდინარე საქმიანობის აღწერა	5
2.1	საწარმოს ტერიტორიის მოკლე დახასიათება	5
2.2	მიმდინარე საქმიანობა.....	10
2.2.1	ზოგადი მიმოხილვა	10
2.2.2	ტექნოლოგიური პროცესის აღწერა	13
2.2.2.1	ჯართი მიმღები უბანი:.....	13
2.2.2.2	საჩამომსხმელო საამქრო	17
2.2.2.3	აირების მოცილების და გაწმენდის სისტემა (FES).....	20
2.2.2.4	საგლინავი საამქრო	26
2.2.2.5	ჟანგბადის საამქრო.....	27
2.2.2.6	ზეთის დამუშავების უბანი.....	27
2.3	წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების არინება	28
2.3.1	საწარმოს წყლის სისტემის დახასიათება	29
2.3.1.1	ფოლადის სადნობი საამქროს წყალმომარაგების სისტემა	29
2.3.1.2	საგლინავი საამქროს წყლით მომარაგება.....	30
2.3.1.3	ჩამდინარე წყლები	31
2.3.2	ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.....	32
2.3.3	დასაქმება და სამუშაო გრაფიკი	32
3	დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა.....	32
4	ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ - გარემოს ფონური მდგომარეობა	40
4.1	ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე.....	41
4.1.1	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა და დაბინძურების წყაროთა დახასიათება.....	41
4.1.2	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში	42
4.1.2.1	ემისიის გაანგარიშება რკინიგზის ვაგონებიდან ხიდური ამწით ჯართის გადმოტვირთვისას (გ-1).....	42
4.1.2.2	ემისიის გაანგარიშება სატვირთო ავტომობილებიდან გრეიფერებით ჯართის გადმოტვირთვისას (გ-2 - გ-12).....	43
4.1.2.3	ემისიის გაანგარიშება გრეიფერებით ჯართის ბადიაში ჩატვირთვისას (გ-13, გ-14, გ-15).....	43
4.1.2.4	ემისიის გაანგარიშება თვითმცლელით ჯართის ბადიაში ჩატვირთვისას (გ-16).....	43
4.1.2.5	ემისიის გაანგარიშება ჯართის აირული ჭრის უბნიდან N2 (გ-17).....	44
4.1.2.6	ემისიის გაანგარიშება ჯართის დასაქუცმაცებელი დანადგარიდან დიზელის ძრავით N1 (გ-18).....	45
4.1.2.7	ემისიის გაანგარიშება ჯართის დასაქუცმაცებელი დანადგარიდან დიზელის ძრავით N2 (გ-19).....	46
4.1.2.8	ემისიის გაანგარიშება ჯართის დასაქუცმაცებელი დანადგარიდან დიზელის ძრავით N3 (გ-20).....	47
4.1.2.9	ემისიის გაანგარიშება ჯართის გადამამუშავებელი ელექტრო დანადგარიდან (შრედერი) (გ-21).....	49
4.1.2.10	ემისიის გაანგარიშება ავტოგასამართი სადგურიდან (გ-22).....	49
4.1.2.11	ემისიის გაანგარიშება ჯართის გადამამუშავებელი დანადგარიდან (პრესი) (გ-23).....	49
4.1.2.12	ემისიის გაანგარიშება ჯართის გადამამუშავებელი დანადგარიდან (პრესი მაკრატელი N1) (გ-24).....	50
4.1.2.13	ემისიის გაანგარიშება ჯართის გადამამუშავებელი დანადგარიდან (პრესი მაკრატელი N2) (გ-25).....	50
4.1.2.14	ემისიის გაანგარიშება ჯართის გადამამუშავებელი დანადგარიდან (პრესი მაკრატელი N3) (გ-26).....	51
4.1.2.15	ემისიის გაანგარიშება მექანიკური საამქროდან N1 (გ-27).....	51
4.1.2.16	ემისიის გაანგარიშება ჯართის გადამამუშავებელი დანადგარიდან (ვიბრაციული გამცხრილავი დანადგარი N1) (გ-28).....	53

4.1.2.17	ემისიის გაანგარიშება ჯართის გადამამუშავებელი დანადგარიდან (ვიბრაციული გამცხრილავი დანადგარი N2) (გ-29).....	55
4.1.2.18	ემისიის გაანგარიშება ჯართის გადამამუშავებელი დანადგარიდან (ვიბრაციული გამცხრილავი დანადგარი N3) (გ-30).....	56
4.1.2.19	ემისიის გაანგარიშება რკინის ხენჯის სანაყაროდან (გ-31).....	58
4.1.2.20	ემისიის გაანგარიშება წიდის ჩამოსხმისას უბანი N1 (გ-32).....	60
4.1.2.21	ემისიის გაანგარიშება წიდის სანაყაროდან N1 (გ-33).....	61
4.1.2.22	ემისიის გაანგარიშება წიდის ჩამოსხმისას უბანი N2 (გ-34).....	63
4.1.2.23	ემისიის გაანგარიშება წიდის სანაყაროდან N2 (გ-35).....	63
4.1.2.24	ემისიის გაანგარიშება მექანიკური საამქროდან N2 (გ-36).....	65
4.1.2.25	ემისიის გაანგარიშება ციცხვის ვერტიკალური გამხურებლიდან (გ-37).....	69
4.1.2.26	ემისიის გაანგარიშება ციცხვის ჰორიზონტალური გამხურებლიდან (გ-38).....	69
4.1.2.27	ემისიის გაანგარიშება ელექტრორკალური ღუმელიდან (გ-39).....	69
4.1.2.28	ემისიის გაანგარიშება ციცხვების ამონაგების ნამსხვრევის სანაყაროდან (გ-40).....	71
4.1.2.29	ემისიის გაანგარიშება ნამზადთა უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარიდან (გ-41).....	73
4.1.2.30	ემისიის გაანგარიშება საგლინავი საამქროს შემახურებელი ღუმელიდან (გ-42).....	74
4.1.2.31	ემისიის გაანგარიშება საგლინავი დგანიდან (გ-43).....	74
4.1.2.32	ემისიის გაანგარიშება ზეთის გაფილტვრის უბნიდან (გ-44).....	75
4.1.2.33	ემისიის გაანგარიშება ადმინისტრაციული შენობის საქვების ღუმელი N1 (გ-45).....	76
4.1.2.34	ემისიის გაანგარიშება ადმინისტრაციული შენობის საქვების ღუმელი N2 (გ-46).....	76
4.1.2.35	ემისიის გაანგარიშება ადმინისტრაციული შენობის საქვების ღუმელი N3 (გ-47).....	77
4.1.2.36	ემისიის გაანგარიშება ადმინისტრაციული შენობის საქვების ღუმელი N4 (გ-48).....	77
4.1.3	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები.....	78
4.1.4	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში.....	90
4.1.5	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის გრაფიკული ნაწილი.....	91
4.2	მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მიღებული შედეგები და ანალიზი.....	100
4.2.1	დასკვნა.....	101
4.3	ხმაურის გავრცელება.....	101
4.4	ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე.....	102
4.5	ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე.....	102
4.6	ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე.....	102
4.7	ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე.....	103
4.8	ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე.....	104
4.9	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.....	104
4.10	ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედება.....	104
4.11	ნარჩენების მართვით მოსალოდნელი ზემოქმედება.....	105
4.12	კუმულაციური ზემოქმედება.....	105
5	საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასების შეჯამება.....	106
6	რეზიუმე.....	110
7	ლიტერატურა.....	111
8	დანართები.....	111
8.1	დანართი N1. საწარმოს სიტუაციური გეგმა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დატანით.....	112
8.2	დანართი N2: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის პროგრამული ამონაბეჭდი.....	113

1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს, შპს „ჯეოსთილი“-ს მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშს.

შპს „ჯეოსთილი“-ს საქმიანობის სფეროა არასრული მეტალურგიული წარმოება (ჯართისაგან ფოლადის გამოდნობა და სხვადასხვა პროდუქციის (ლითონის ნამზადები და სხვადასხვა ზომის არმატურა) წარმოება), რასაც ახორციელებს 2007 წლის 14 აგვისტოს გაცემული N00084 გარემოზე ზემოქმედების ნებართვის საფუძველზე (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N24).

საბაზისო პროექტის მიხედვით, საწარმოში ფოლადის გამოდნობა ხდებოდა ერთი ელექტრორკალური ღუმელის საშუალებით. ფოლადის ჩამოსხმის ტექნოლოგიური ხაზის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, 2018 წელში მიღებული იქნა გადაწყვეტილება დამატებით ინდუქციური ღუმელის მოწყობასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იქნა სკრინინგის განაცხადი, რაზედაც მინისტრის 2018 წლის 30 აგვისტოს N2-724 სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე, დაგეგმილი საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას. დღეისათვის საწარმოში განთავსებულია ორი ფოლადსადნობი ღუმელი (ელექტრორკალური და ინდუქციური), მაგრამ არსებული ტექნოლოგიური სქემის მიხედვით, ღუმელების ერთდროულად მუშაობა არ არის შესაძლებელი, კერძოდ: ორივე ღუმელის ელექტრომომარაგება ხორციელდება ერთი და იგივე ელექტრომომარაგების წყაროდან და საჭიროების მიხედვით ხდება ელექტროენერჯის მიწოდება ან ერთ ან მეორე ღუმელზე. ინდუქციური ღუმელის გამოყენება დაგეგმილია მხოლოდ ელექტროღუმელის სარემონტო სამუშაოების პერიოდში.

საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის მიხედვით, დაგეგმილია აირგამწმენდი სისტემის ექსპლუატაციის პირობების გაუმჯობესება და საჩამოსხმელო საამქროდან არაორგანიზებული გაფრქვევების მინიმუმამდე შემცირება. ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებებს განხორციელებას:

- საწარმოს აირგამწმენდი სისტემის არსებული 480 000 მ³/სთ წარმადობის გამწოვი ვენტილატორის ახალი 560 000 მ³/სთ წარმადობის ვენტილატორით ჩანაცვლება;
- აირგამწმენდი სისტემის არსებული მექანიკური გამაგრილებელის ახალი თანამედროვე ტიპის მექანიკური გამაგრილებლით შეცვლა;
- ელექტრორკალური ღუმელის პირველად შემწოვ მილში დამატებით 70 000 მ³/სთ წარმადობის დამხმარე გამწოვი ვენტილატორის მოწყობა;
- პირველადი და მეორადი აირსატარი ხაზების შეერთების წერტილში ნაპერწკალჩამქრობის მოწყობა.

საწარმოს აირგამწმენდი სისტემის ექსპლუატაციის პირობების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი აღნიშნული ცვლილებები, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის მიხედვით, წარმოადგენს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შპს „ჯეოსთილი“-ს და სკოპინგის ანგარიშის შემსრულებელი საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგი“-ს საკონტაქტო ინფორმაცია მოცემული ცხრილში.

ცხრილი 1.1 საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია	შპს „ჯეოსთილი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	საქართველო, რუსთავი, დავით გარეჯის N36
საქმიანობის განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, დავით გარეჯის N36
საქმიანობის სახე	მეტალურგიული წარმოება
შპს „ჯეოსთილი“-ს საკონტაქტო მონაცემები:	

ელექტრონული ფოსტა	office@geosteel.com.ge
საიდენტიფიკაციო კოდი	216425919
საკონტაქტო პირი	ბალაკრიშნან საჯივი
საკონტაქტო ტელეფონი	+(995) 322 24 37 94
საკონსულტაციო კომპანია - შპს „გამა კონსალტინგი“	
შპს „გამა კონსალტინგი“-ს დირექტორი	ზ. მგალობლიშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	2 61 44 34; 2 60 15 27

2 საწარმოს მიმდინარე საქმიანობის აღწერა

2.1 საწარმოს ტერიტორიის მოკლე დახასიათება

შპს „ჯეოსთილი“-ს მეტალურგიული ქარხანა მდებარეობს ქ. რუსთავის სამრეწველო ზონაში, კერძოდ: დავით გარეჯის ქუჩა N36-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: 02.07.02.074; 02.07.04.042 და 02.07.04.043), რომელიც წარმოადგენს ამ კომპანიის საკუთრებას.

შპს „ჯეოსთილი“-ს ტერიტორიას სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება დავით გარეჯის ქუჩა და შემდეგ შპს „რუსთავის ფოლადი“-ს მეტალურგიული ქარხნის ტერიტორია, ხოლო ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით თავისუფალი ტერიტორიებია წარმოდგენილი. ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ესაზღვრება, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტერიტორია და შემდგომ შპს „ერთობა 98“-ის და შპს „მემანიშვილი და კომპანია“-ს ტერიტორიები. შპს „ჯეოსთილი“-ს ტერიტორიას ორ ნაწილად ყოფს ბაქო-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საავტომობილო ხიდით.

ამ ეტაპზე შპს „ჯეოსთილი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფლადის გამოდნობა არასრული მეტალურგიული ციკლით და ლითონის ნაწარმის დამზადება, რომლისთვისაც იყენებდნენ ელ. რკალურ და ინდუქციურ ღუმელებს. საწარმოო ტერიტორიის მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი - 02.07.02.074, ხოლო ამავე მიწის ნაკვეთის მიახლოებითი GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში 2.1.1. სიტუაციური სქემა იხ. სურათზე 2.1.1.

ცხრილი 2.1.1 ტერიტორიის GPS კოორდინატები

N	X	Y	N	X	Y
1	502415	4599186	5	502785	4598860
2	502573	4599154	6	502624	4598755
3	502547	4599110	7	502487	4598945
4	502692	4599024	8	502351	4599127

ქარხნის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაცემულია 2007 წლის აგვისტოს თვეში, ხოლო საწარმო ექსპლუატაციაშია 2009 წლიდან. საწარმოს რეგისტრაციის და ექსპლუატაციაში გაშვების პერიოდში, უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვარი საწარმოდან დაცილებული იყო დაახლოებით 0.9 კმ-ით. 2011 წელს, მოხდა საწარმოო ზონაში არსებული შენობა-ნაგებობების (რომელიც ადრე ეკუთვნოდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას) გადაცემა იძულებით გადაადგილებული პირებისათვის. თავდაპირველად შესახლება იყო დროებითი, თუმცა, შემდეგ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მათთვის მუდმივ საცხოვრებლად დაკანონების თაობაზე. აღნიშნული შენობა ნაგებობებიდან, შპს ჯეოსთილის საწარმოს საზღვრიდან უახლოესია ამხანაგობა „ერთგულება“ (საკადასტრო კოდი: 02.07.02.420), საიდანაც დაცილების მანძილი შეადგენს 246 მ-ს. გარდა აღნიშნულისა, მეტალურგიული ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაახლოებით 234 მ-ის დაცილებით არსებულ 2 სართულიან შენობაში (საკადასტრო კოდი: 02.07.04.054) კიდევ მოხდა მოქალაქეების შესახლება და დღეს არსებული ფაქტიური მდგომარეობით აღნიშნულ შენობაში ადგილობრივი

მუნიციპალიტეტის თანხმობით (საცხოვრებელი ფართების დაკანონების გარეშე) ცხოვრობს 12 მდე ოჯახი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის – გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების მიხედვით, ქალაქის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილს, სადაც ნახევარი საუკუნეზე ბევრად მეტი ხნის განმავლობაში მძიმე მრეწველობის პროფილის ისეთი საწარმოები, როგორცაა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ცემენტის ქარხანა, შპს „ჯეოსთილი“-ს მეტალურგიული ქარხანა და სხვა მინიჭებული აქვს „სამრეწველო ზონა 1“-ს სტატუსი. დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, სამრეწველო ზონა 1-ში არ არის დაშვებული საცხოვრებელი განაშენიანების მოწყობა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აღნიშნული დადგენილების მიხედვით, დარღვეულია სამრეწველო ზონა 1-სათვის დადგენილი ნორმები, როგორც საწარმოების განთავსების ასევე საცხოვრებელი განაშენიანების პირობები.

შპს „ჯეოსთილი“-ს არსებული საწარმო განთავსებულია კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საერთო ფართობია 85 712 მ², საიდანაც უშუალოდ მეტალურგიული ქარხანა განთავსებულია 67 986 მ²-ზე.

საწარმოს ტერიტორია შემოღობილია 2 მეტრის სიმაღლის ბეტონის კედლით. მისასვლელი გზები და მოედნები დაფარულია მყარი საფარით, მთელ ტერიტორიაზე მოწყობილია ღამის განათება. უზრუნველყოფილია ტერიტორიის სადღეღამისო დაცვა და შესაბამისად უცხო პირების საწარმოს ფარგლებში მოხვედრის რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.


როგორც აღინიშნა, საწარმო მდებარეობს ქალაქის საწარმოო ზონაში, სადაც მცენარეული საფარი და ცხოველთა ველური ბუნების სახეობების ხელსაყრელი საბინადრო ადგილები პრაქტიკულად არ არსებობს. არ არსებობს ასევე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, გარდა ხელოვნურად მოწყობილი გაზონებისა.

შპს „ჯეოსთილი“-ს საწარმოს 500 მ-იან რადიუსში მდებარეობს სხვადასხვა საწარმოო ობიექტები, მათ შორის:

- შპს „რუსთავის ფოლადი“;
- სს „მეტალურგრემონტი“;
- შპს „ერთობა 98“;
- შპს „ჯი არ სი“ და ა.შ (იხილეთ სურათი 2.1.3.)

საწარმოს გარშემო არსებული ობიექტების არის სხვადასხვა დანიშნულებით, მათ შორის მეტალურგიული, ცემენტის, სამშენებლო მასალების წარმოება და სხვ.

სურათი 2.1.1. სიტუაციური სქემა



შპს „გამა კონსალტინგი“

სურათი 2.1.2. საწარმოს ინფრასტრუქტურის ხედები



ინდუსტრიული ღუმელში ნედლეულის ჩატვირთვა



ტექნიკური წყლის მომზადების უბანი



ჯართის ეზო



ტექნიკური წყალმომარაგების (ნედლი წყლის) სალექარი რეზერვუარი




მტკვრდამჭერი ფილტრები



ტრანსფორმატორი და ავარიულად დაღვრილი ზეთის შემკრები სისტემა

სურათი 2.1.3 საწარმოდან 500მ-იან ზონაში არსებული საწარმოო ობიექტები



2.2 მიმდინარე საქმიანობა

2.2.1 ზოგადი მიმოხილვა

შპს „ჯეოსთილი“-ს მიმდინარე საქმიანობა წარმოადგენს მეორადი ნედლეულის - ჯართისაგან ფოლადის წარმოება. საწარმოში დღეისათვის ფუნქციონირებს შემდეგი საამქროები და დამხმარე ობიექტები:

1. ჯართის უბანი, სადაც მიმდინარეობს ჯართის მიღება, რადიაციული კონტროლი დროებითი დასაწყობება, დამუშავება და სადნობ საამქროში მიწოდება. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად ჯართის უბანზე განთავსებულია შემდეგი ინფრასტრუქტურა:
 - რადიაციული კონტროლის დანადგარი;
 - სასწორი;
 - ჯართის ჭრის უბანი;
 - 3 ერთეული ჯართის ბადროსებრი დანა;
 - ჯართის დასაქუცმაცებელი დანადგარი (ჩაქუჩებიანი წისქვილი), 4 ერთეული ჯართის გადამამუშავებელი დანადგარი, მათ შორის 3 პრეს-მაკრატელი და 1 პრესი;
 - 1 ერთეული ვიბრაციული გაცხავების დანადგარი მბრუნავი მაგნიტური დოლით და 1 ერთეული გაცხავების დანადგარი მაგნიტური სარტყელით;
 - რკინის ხენჯის სანაყარო;
 - ავტოგასამართი სადგური;
 - მექანიკური საამქრო და სხვა.
2. ფოლად სადნობი საამქრო, სადაც მიმდინარეობს კაზმის მომზადება, ფოლადის დნობა, უწყვეტი ჩამოსხმა, ნამზადის დასაწყობება და საგლინავ საამქროში მიწოდება:
 - ელ. რკალური ღუმელი;
 - ციცხვღუმელი;
 - 2 ინდუქციური ღუმელი;
 - ციცხვის ვერტიკალური გამახურებელი;
 - ციცხვის ჰორიზონტალური გამახურებელი;
 - ციცხვების ამონაგების ნამსხვრევის სანაყარო;
 - 2 ერთეული წიდის სანაყარო და 1 ერთეული ხენჯის სანაყარო;
 - ნამზადთა უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარი.
3. საგლინავი საამქრო, სადაც ხდება სადნობი საამქროდან მიწოდებული ნამზადისაგან მზა პროდუქციის (სხვადასხვა ზომის არმატურა, ღეროვანი ლითონი) წარმოება, საამქროს შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურა შემდეგია:
 - ნამზადის შემახურებელი ღუმელი;
 - საგლინავი დგანი.
4. მექანიკური საამქრო;
5. ჟანგბადის საამქრო;
6. ელექტროქვესადგური;
7. ტექნიკური წყლის მომზადების უბანი;
8. დამხმარე მასალებისა და მზა პროდუქციის საწყობები
9. ნამუშევარი ზეთების დასამუშავებელი უბანი;
10. საოფისე შენობა;
11. საოჯახო ტიპის სასტუმრო და სასადილოები;
12. მაღაზია.

შპს „ჯეოსთილი“-ს მეტალურგიული საწარმოს გენერალური გეგმა მოცემულია ნახაზზე 2.2.1.1.

ამჟამად შპს „ჯეოსთილი“ ამზადებს ლითონის ნაწარმს, რისთვისაც იყენებს ორი ტიპის - ელექტრორკალურ ან ინდუქციური ღუმელებს შესაბამისი ინფრასტრუქტურით. თუმცა აქვე

უნდა აღინიშნოს, ორივე ღუმელი ერთდროულად ვერ მუშაობს და მათი ოპერირება ხდება ერთ-ერთის ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში.

საწარმოში შემოტანილი რკინის ჯართის (ნედლეული) დასაწყობება ხდება ჯართის უბნის ტერიტორიაზე. ტერიტორიაზე შემოტანის წინ ხდება ჯართის აწონვა და რადიაციული კონტროლი, რისთვისაც გამოყენებულია LUDLUM MODEL 4525-ის ტიპის დანადგარი. დასაწყობების დროს ხორციელდება ასევე ფეთქებად უსაფრთხოებაზე კონტროლი ვიზუალური დათვალირებით. ტერიტორიაზე ჯართის შემოტანა ხდება როგორც სარკინიგზო ასევე საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებით.


ჯართის უბანი მდებარეობს საწარმოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის აღმოსავლეთ მხარეს, შესაბამისად ჯართის შემოტანისათვის ძირითადად გამოიყენება გამარჯვება-რუსთავი-ჯანდარის საავტომობილო გზა და საჭიროებას არ წარმოადგენს ქალაქის საცხოვრებელი ზონის ტერიტორიებზე გამავალი საავტომობილო გზების გამოყენება.

სადნობ საამქრომდე ჯართის ტრანსპორტირება ხდება თვითმცლელი ავტომანქანების გამოყენებით. საამქროში გადატანამდე ხდება ჯართის საჭიროების მიხედვით დახარისხება, დაჭრა და დაქუცმაცება.

შპს „ჯეოსთილი“-ს მეტალურგიული ქარხნის წლიური წარმადობა ამ ეტაპზე არის 175 000 ტ/წელ არმატურა, დიამეტრით 8, 10, 12, 14, 16, 18, 20, 22, 25, 28, 32 მმ. გარდა აღნიშნულისა, იმავე საგლინავ საამქროში ხორციელდება სხვადასხვა დიამეტრის ღეროვანი ლითონის (მავთულის) წარმოება.

მიმდინარე საქმიანობის პროცესში ელ. ენერგიით მომარაგება ხდება ტერიტორიაზე არსებული ორი ტრანსფორმატორის (24 მვა და 60 მვა ტრანსფორმატორი) საშუალებით. ტრანსფორმატორები აღჭურვილია ზეთის დაღვრის ავარიული სისტემებით, რომელიც დაკავშირებულია მიწისქვეშა რეზერვუართან. სამართავი პულტის ტერიტორიაზე მოთავსებულია ზეთის სამარაგო რეზერვუარი, რომელიც შემოსაზღვრულია ზღუდარით და ავარიული დაღვრის შემთხვევაში ზეთის ტერიტორიაზე გავრცელების რისკი მინიმალურია.

სქემა 2.2.1.1. საწარმოს გენ-გეგმა



2.2.2 ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების სქემა მოცემულია დიაგრამაზე 4.2.2.1.

2.2.2.1 ჯართი მიმღები უბანი:

ტექნოლოგიური პროცესი იწყება ჯართის უბნიდან, სადაც ხდება ჯართის მიღება, დამუშავება, დასაწყობება და შემდგომი გადამუშავების მიზნით ფოლადსადნობ საამქროსთვის გადაცემა. ჯართის უბნის გენგემა მოცემულია ნახაზზე 4.2.2.1.1.

ჯართის უბანი აღჭურვილია ჯართის გადამამუშავებელი მოწყობილობებით, როგორცაა უძრავი ჰიდრავლიკური ჩამჩიანი ამწეები, მობილური ჰიდრავლიკური ჩამჩიანი ამწეები, მაღალი ტვირთამწეობის მქონე ამწეები, სამი დისკური დანა ამძრავიანი მექანიზმით, ორი Lindemann-ის მარკის ჯართის საპრესი დანადგარი ჭრის ძალით 600 ტ, მაგნიტური დოლური ცხავი ჯართისგან მიწის მოსაცილებლად, გაცხავების დანადგარი მაგნიტური სარტყელით, ერთი Disan-ის მარკის ჯართის საპრესი დანადგარი, ჭრის ძალით 1000 ტ და ჯართის დასაქუცმაცებელი დანადგარი (ჩაქუჩებიანი წისქვილი).

ჯართის საპრესი დანადგარის საშუალებით ხდება დიდი მოცულობის ჯართის დაპრესვა და მისი სასურველ ზომამდე დაჭრა ჯართის სიმჭიდროვის გაზრდის მიზნით.

დაჭრილი ჯართი, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა ფოლადსადნობ საამქროს ან დამუშავებული ჯართის საწყობს. შემოსული ჯართის აწონვა ხდება ხიდურ სასწორზე და მოწმდება რადიაციის დეტექტორზე. ფოლადსადნობ საამქროში გაგზავნამდე ხიდურ სასწორზე იწონება ასევე უკვე დამუშავებული ჯართი.

სურათი 2.2.2.1.1. ჯართის უბნის ტერიტორიის ხედები




ჯართის უბნის ტერიტორიაზე დამუშავების შემდეგ, მზა ნედლეულის გადატანა ავტომანქანებით ხდება საჩამომსხმელო საამქროსთან მდებარე ჯართის სანაყაროზე, საიდანაც საჭიროების მიხედვით ხდება ლუმელებში ჩატვირთვა. ხოლო ჯართის ნაწილი კი პირდაპირ იტვირთება ლუმელში მისი სანაყაროზე განთავსების გარეშე.

სურათი 2.2.2.1.2. ჯართის დასაწყობების უბანი საჩამომსხმელო საამქროსთან




ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჯართის გასუფთავების მიზნით, ტერიტორიაზე მოწყობილია დაბინძურებული ჯართის უბანი, რომლის საერთო ფართი არის 2000 მ². აღნიშნულ უბანს გააჩნია ბეტონის ბარიერი, რომ დაბინძურებული უბნიდან წვიმის წყლების ჩაშვება მოხდეს სპეციალურ სამ სექციიან სალექარში (ზომები 9500მმx2500მმx2000მმ). სალექარის ჭრილი მოცემულია ნახაზზე 2.2.2.1.2. სალექარში ძირითადად ხდება დიდი ნაწილაკების და ნავთობპროდუქტების წყლისგან განცალკევება, ტერიტორიაზე მოწყობილი სალექარი გათვლია ერთი დღის განმავლობაში მოსული მაქსიმალური ატმოსფერული ნალექზე. სალექარის პირველ სექციაში ხდება მძიმე ნაწილაკების შეგროვება, მე-2 ზონის ფუნქციაა ცხიმოვანი პროდუქტების წყლისგან გამოიჯვნა. გაწმენდილი წყლის გადინება კი ხდება მე - 3 ზონაში. საბოლოოდ გაწმენდილი წყალი გამოიყენება ტერიტორიის მოსარწყავად, დაჭრილი ნავთობპროდუქტები თავსდება სახიფათო ნარჩენების წინასწარი დასაწყობების სათავსში და შემდგომი მართვისათვის გადაეცემა ამ შესაბამის კონტრაქტორს. სალექარიდან ამოღებული შლამის გაუწყლოება მიმდებარე ტერიტორიაზე და შემდგომი მართვის მიზნით გატანილი იქნება ტერიტორიიდან.


ნახაზზე 2.2.2.1.1. ჯართის უბნის გეგმა




ნახაზი 2.2.2.1.2. სალექარის ჭრილი



სქემა 2.2.2.1 საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის სქემა



ნახაზი 2.2.2.1 ფოლადის დნობის ტექნოლოგიური ხაზის სქემა



2.2.2.2 საჩამომსხმელო საამქრო

საჩამომსხმელო საამქროში ფოლადის დნობისათვის გამოყენებულია ელექტრორკალური და ინდუქციური ღუმელები, საიდანაც ფოლადის ნაღობის ჩამოსხმა ხდება ციხვ ღუმელში და შემდგომ მიწოდება უწყვეტი ჩამოსხმის მანქანას და საბოლოოდ მიიღება მყარი ნამზადი. როგორც ელექტრორკალური, ასევე ინდუქციური ღუმელების ფუნქციონირებისათვის ენერჯის წყაროდ გამოყენებულია ელექტროენერჯია.

1 ტონა ფოლადის წარმოებისათვის ენერჯის წყაროების დაახლოებითი ხარჯი შესაძლოა ვარიირებდეს ქვემოთ მოცემულ მაჩვენებლებამდე:

- ელექტრო ენერჯია – 600 კვ/სთ;
- ჟანგბადი – 50 მ³/ტ (მოითხოვს 40კვტ. ელ. ენერჯიას);
- ბუნებრივი აირი - 20 მ³;
- გრაფიტის ელექტროდი – 4.75 კგ.

საჩამომსხმელო საამქროს წარმადობა არის 175 000 ტ/წელ.

დაახლოებითი ენერჯია, რომელიც საჭიროა 1 ტ არმატურის მისაღებად მოითხოვს:

- ელ/ენერჯიას – 150 კვტ/სთ–მდე;
- ბუნებრივ აირს - 42 მ³–მდე.

ნედლეულის ჩატვირთვა ღუმელში ხდება ხიდურა ამწის საშუალებით.

ჯართის დნობის პროცესის დამთავრების შემდეგ, ხდება ფოლადის მეტალურგიული წარმოება ნახშირბადის, ფოსფორის და შენადნობი ელემენტების კონტროლით. გამდნარი ფოლადის შემადგენლობიდან გამომდინარე, ხდება მინარევების დამატება, რათა მიღებული იქნას ფოლადი საჭირო შემადგენლობით და ხარისხით. გამდნარი მასალები იღვრება ციხვში. შემდეგ ციხვი მიემართება ციხვ-ღუმელისაკენ, საბოლოო ქიმიური შემადგენლობის და ტემპერატურის მისაღებად სანამ ჩამოსხმება ნამზადი.

არსებობს ორი სადნობი ღუმელი, რომელთა კვება ხორციელდება ერთი ელექტრომომარაგების წყაროდან (ერთი ფარი). ორივე ღუმელის ერთდროულად ფუნქციონირება შესაძლებელი არ არის, შესაბამისად ადგილზე ნებისმიერ დროს იმუშავებს მხოლოდ ერთი ღუმელი.

ელექტრორკალური ღუმელი: ჯართის ღუმელში ჩატვირთვა ხდება ჩამტვირთავი ამწის კალათის მეშვეობით. ღუმელის სახურავის აწევის შემდეგ ხდება მასში ჯართით სავსე კალათის ჩაცლა. ჯართი იყრება ღუმელში, რის შემდეგაც იხურება ღუმელის თავსახური და იწყება დნობის პროცესი. დნობა მიიღწევა ღუმელში ელექტროენერჯის, საწვავის და ჟანგბადის მიწოდებით. ელექტროენერჯის მიწოდება ხდება გრაფიტის ელექტროდების საშუალებით. ჟანგბად-სათბობის მიწოდება ხდება სანთურების და აირსაჭრელების (ჟანგბადის შუბი) საშუალებით. ჟანგბად-სათბობის სანთურები ბუნებრივი აირით იწვის. ჯართის სრულად დადნობის შემდეგ ხდება ღუმელის აბაზანაში თხევადი ფოლადის ტემპერატურის გაზომვა და ნიმუშის აღება. ელექტროლიტის აბაზანის ქიმიური შემადგენლობის ანალიზის შედეგად სადნობი დანადგარი განსაზღვრავს რაფინირების პროცესში შესაბერი ჟანგბადის რაოდენობას. ჟანგბადით ჭრა ხდება დნობის პროცესის ბოლოს, ღუმელის აბაზანაში ნახშირბადის შემცველობის სასურველ დონემდე დაწევის მიზნით. წიდის მოცილება ხდება ღუმელიდან მინარევების ამოღების მიზნით. დნობის პროცესში ასევე ხდება ღუმელის აბაზანის შიგნით წარმოქმნილი არასასურველი ნივთიერებების ოქსიდაცია და წიდის ფაზაში გადაყვანა.

ღუმელში ფოლადის სასურველი შემადგენლობის და ტემპერატურის მიღწევის შემდეგ იხსნება გამოსაშვები ღიობი, ღუმელი იხრება და გამდნარი ფოლადი იღვრება ციხვზე და გადადის ციხვ-ღუმელში შემდგომი დამუშავების მიზნით. ციხვ-ღუმელში, განმჟანგველის საშუალებით ხდება თხევადი ფოლადისაგან ჟანგბადის მოცილება, ფეროშენადნობების და მფლუსავის დამატება ფოლადის სასურველი ქიმიური შემადგენლობის მიღწევის და მისგან

კიდევ ერთი მავნე ელემენტის - გოგირდის ამოდების მიზნით. არგონის ინერტული აირის საშუალებით ხდება თხევადი ფოლადის ჰომოგენიზაცია.

ციცხვ-ღუმელში დამუშავების შემდეგ თხევადი ფოლადის ციცხვი გადადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარში ნამზადის საბოლოო ჩამოსხმისთვის. უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარში ხდება ჰომოგენიზებული ფოლადის ნამზადის ჩამოსხმა, რის შემდეგაც ნამზადი გადადის საგლინავ დგანში არმატურული ნაგლინის დამზადების მიზნით.

სურათი 2.2.2.1. ელექტრორკალური ღუმელი და ციცხვღუმელი



ინდუქციური ღუმელი: გარდა აღნიშნულისა, არსებობს ინდუქციური ღუმელის საშუალებით ფოლადის დნობის ალტერნატიული ვარიანტი. ინდუქციურ ღუმელში ჯართი დნება დაახლოებით 1650°C ტემპერატურაზე. დასადნობი მასალა შეიძლება იყოს ფოლადის ჯართი, ღრუბლოვანი რკინა, ცხლად ბრიკეტირებული რკინა (HBI) ან ნებისმიერი სხვა ფერადი ნედლი მასალა. ფოლადის ჯართის ღუმელში ჩაშვება ხდება ჩამტვირთავი სისტემის საშუალებით. ღუმელში ჩაშვებული მასალის ცხელ თხევად ლითონად ქცევის შემდეგ კონტროლდება ფოლადში ნახშირბადის, ფოსფორის, შენადნობის ელემენტების შემცველობა. მდნარი ფოლადის შემცველობის საფუძველზე ხდება იმ დანამატების დამატება, რომლებიც საჭიროა ფოლადის საჭირო შემცველობისა და ხარისხის მისაღებად. დამდნარი მასალის ჩასხმა ხდება ციცხვში, რის შემდეგაც ნაღობი გადადის ციცხვ-ღუმელში, სადაც მიიღწევა ნამზადის ჩამოსხმამდე საჭირო ქიმიური შემადგელობა და ტემპერატურა. ინდუქციური ღუმელი შედგება ორი სადნობი ტიგელისაგან, რომელთაგან (ღუმელისაგან) ერთი იქნება მუშა ხოლო მეორე კი სარეზერვო. ინდუქციური ღუმელი აღჭურვილი იქნება კვების გადამრთველით, რომლის საშუალებით ელექტროენერგია მიეწოდება ერთერთ ღუმელს (ერთდროულად ორი ღუმელის მუშაობა არ მოხდება).

ღუმელის სხვა ძირითადი კომპონენტებია ელექტრომომარაგების ერთეული, რომელიც შედგება ტრანსფორმატორის, ინვერტორის და კონდენსატორის ბლოკისგან, ჩამტვირთავი მოწყობილობის, გამაგრილებელი სისტემის და ღუმელის ინდუქტორისგან, პროცესის საკონტროლო სისტემისა და აირგამწოვი სისტემისგან. ინდუქტორის ელექტროენერგიით მომარაგება ხდება 3-ფაზიანი, მაღალი ძაბვის ელექტრო ხაზით.

ინდუქციური ღუმელის სქემა ნაჩვენებია ნახაზზე 2.2.2.1. აირგამწოვი სისტემა შედგება, ხუფისგან, სადინარი მილისგან, სახელოიანი ფილტრებისგან (2880 სახელოიანი ფილტრი) და მტვერდამჭერი სისტემისგან.

ინდუქციური სისტემის ახალი პროექტი მოიცავს მოძრავ ხუფს, ინდუქციური ღუმელის სადინარ მილს დიამეტრით 1800 მმ და სარედუქციო სარქველს.

სახელოიანი ფილტრები მოემსახურება როგორც ინდუქციურ ღუმელს ასევე ელექტრო-რკალურ ღუმელს, რადგან ელექტრო-რკალური ღუმელის და ინდუქციური ღუმელის ერთდროული


მუშაობა არ არის გათვალისწინებული. ერთიდან მეორეზე გადართვა მოხდება ელექტრო-რკალური ღუმელის სარედუქციო სარქველის და ინდუქციური ღუმელის სარედუქციო სარქველის საშუალებით.

ღუმელიდან გასაწოვი აირების რაოდენობა ნაჩვენებია ცხრილში 2.2.2.2.1.

ცხრილი 2.2.2.2.1

	ერთეული	ინდუქციური ღუმელი	ელექტრო-რკალური ღუმელი
ელექტრო-რკალური ღუმელის აირის პირველადი ნაკადი (მეოთხე ღიობი)	ნმ ³ /სთ	0	70000
ელექტრო-რკალური ღუმელის აირის მეორადი ნაკადი (ხუფი)	ნმ ³ /სთ	35600-71200 (სარქველის გახსნა ხდება 10-20%-ით)	445000
ციცხვ-ღუმელი	ნმ ³ /სთ	45000	45000
ინდუქციური ღუმელი	ნმ ³ /სთ	180000	0
სულ	ნ. მ ³ /სთ	260600	560000
ემისია ღუმელიდან	კგ/ტ	3.5	5

სურათი 2.2.2.2.1. ინდუქციური ღუმელის სქემა



სურათი 2.2.2.2.1



2.2.2.3 აირების მოცილების და გაწმენდის სისტემა (FES)

ფოლადის დნობის პროცესი ხასიათდება მტვერის და აირების ინტენსიური წარმოქმნით, რის გამოც მოწყობილია აირების მოსაცილებელი სისტემა (FES). აღნიშნული სისტემის ფუნქციაა ღუმელიდან აირების და მტვერის შეგროვება და ატმოსფერულ ჰაერში გაშვებამდე მათი გაწმენდა. ის შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: წვის კამერა, წყლით გაგრილების სადინარი მილი და ჰაერით გაგრილების სადინარი მილი, აირების მექანიკური გამაგრილებელი, მთავარი ჰაერსატარი, მტვერდამჭერი და მთავარი ჰაერშემბერი. ღუმელი აღჭურვილია გამწოვი სისტემით, საიდანაც ხდება მტვერის და ნამუშევარი აირების გაწოვა. აღნიშნული გამწოვი დაკავშირებულია წვის კამერასთან, სადაც ხდება აირების დაწვა. ამის შემდეგ ცხელი აირი 900 °C ტემპერატურით გაივლის წყლით გაგრილების სადინარ მილს, სადაც წინასწარი გაგრილება ხდება 500 °C-მდე.

აირის და წყლით გაგრილების სადინარი მილის ტემპერატურა კონტროლდება და გამოისახება აირების მოსაცილებელი სისტემის საკონტროლო პლატფორმის მონიტორზე.

აირი გაივლის გამაგრილებელ სისტემას, სადაც აირის ტემპერატურა მცირდება 250°C-მდე. გარდა ამისა, ბუნკერში ხდება დიდი ნაწილაკების შეგროვება. აირის გაგრილება საჭიროა აირის ფილტრაციისთვის მოსამზადებლად, რადგან ფილტრები მუშაობს <130°C ტემპერატურაზე. ღუმელიდან პირდაპირი შეწოვის გასაუმჯობესებლად მოწყობილია 70000 ნმ³/სთ სიმძლავრის ბუსტერ-ტუმბოს მოწყობა. იმ შემთხვევაში, თუ მტვერის შემგროვებელი სისტემის ტემპერატურა 120°C-ზე მეტია, იგი ავტომატურ რეჟიმში მუშაობს PLC-ის საშუალებით.

შეწოვილი ჰაერი და მტვერი გაივლის მთავარ სადინარ მილს, საიდანაც მიეწოდება მტვერშემკრებს. ყველა სადინარი მილი აღჭურვილია მადემპფირებელი სარქველით, რომელიც არეგულირებს თითოეული სადინარის შეწოვის სიჩქარეს.

გაუმტვერიანების სისტემაში შედის მტვერდამჭერი სახელოიანი ფილტრები, მტვერის გამოსაშვები და მტვერის კონვეიერი. მტვერდამჭერ სისტემას გააჩნია სახელოიანი ფილტრის 24 სექცია. თითო სექციაში 120 სახელოიანი ფილტრია და საერთო რაოდენობა შეადგენს 2880-ს. ფილტრის მასალა არის პოლიესტერი.

ფილტრი აღჭურვილია გაწმენდის ავტომატური სისტემით. პნევმატური აირის შეწოვა ხდება ფილტრში, საიდანაც მტვერი იყრება შემგროვებელ ბუნკერში. გაწმენდის ციკლის დაწყების ორი სისტემა არსებობს: დროზე დამოკიდებული ან დიფერენციალურ წნევაზე დამოკიდებული. არსებობს სამი დახურული ხრახნული ტრანსპორტიორი, რომლის მეშვეობით ხდება მტვერის ბუნკერიდან შემგროვებელ კონტეინერამდე ტრანსპორტირება. კონტეინერის აღება ხდება თვითმცლელის საშუალებით.

აირშემკრები ფილტრები მოემსახურება ან ინდუქციურ ღუმელს ან ელექტრო რკალურ ღუმელს, რადგან ინდუქციური ღუმელი და ელექტრო რკალური ღუმელი არასდროს იმუშავებს ერთდროულად. გადანაცვლება მოხდება ელექტრო რკალური ღუმელის ჩამკეტი სარქველის და ინდუქციური ღუმელის ჩამკეტი სარქველის საშუალებით.

გამონაბოლქვი აირების გამწოვი სისტემის ოპერირების აღწერა მოცემულია ქვემოთ.

კვამლის პირველადი შეგროვება და გაცივება.

ღუმელში წარმოქმნილი პირველადი მტვერ-აიროვანი ფაზა და ნამწვი აირები გროვდება 4 მოხრილ მკლავიან მილში და მიეწოდება წვის კამერას, რომელიც განლაგებულია პლატფორმის დონის დაბლა. წვის კამერაში ნაკადის სიჩქარე მკვეთრად მცირდება, რაც იძლევა საშუალებას მძიმე ნაწილაკების დალექვისა. აქ ხდება აირადი კომპონენტების (ძირითადად ნახშირჟანგის) დაწვა.

წვის კამერის გამოსასვლელზე კვამლის ტემპერატურა დაახლოებით შეადგენს 900°C-ს, საიდანაც კვამლი გაივლის კონცენტრირებული წყლის მაციებელ მილს და შემდეგ კვამლი

მიემართება მექანიკურად მართვად გამაციებელზე, სადაც ტემპერატურა ეცემა 250°C - მდე. როდესაც ჰაერთან შერევა ხდება ამწოვი ქოლგის გავლით ტემპერატურა ეცემა 120°C - მდე და მტვერ-აიროვანი ფაზა მიემართება ფილტრისაკენ.

ციცხვ-ღუმელის შემგროვებელი ზონტი (ამწოვი)

კვამლი, რომელიც წარმოიქმნება ციცხვ-ღუმელში პირველად შეგროვდება მის თავზე განთავსებული მობილური (მოძრავი) ამწოვი ზონტის მეშვეობით, შემდეგ ტრანსპორტირდება ღუმელის მთავარი გამწოვი მილის გავლით და საბოლოოდ გროვდება მილის კოლექტორში.

კვამლის მეორადი შეგროვება

კვამლი, ღუმელის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესში გროვდება შენობის სახურავზე სპეციალურად დამონტაჟებულ ამწოვ ზონტში.

კვამლის ნაკადის რეგულირება

მილის განშტოებებში კვამლის ნაკადის ბალანსი რეგულირდება ელექტრო-სარქველის საშუალებით.

კვამლმწოვი

კვამლი გაიწოვება ფილტრის ქვემოთ განთავსებული კვამლმწოვით, რომელიც მუშაობის პროცესში შემგროვ მილში ქმნის გაიშვიათებას.

საკვამლე მილი

გაწმენდილი კვამლი გაიტყორცნება ატმოსფეროში ფოლადის მილის მეშვეობით. მილის დიამეტრია 3,4 მეტრი, სიმაღლე 30 მეტრი.

ძირითადი ტექნიკური პარამეტრები

პირველადი კვამლი წვის კამერაში:

- ნაკადის მოცულობა მეოთხე დიობის სარინიდან –70 000 ნმ³/სთ;
- ტემპერატურა – 1200°C-მდე;
- აირების ტემპერატურა ნახშირჟანგის წვის შემდეგ დაახლოებით შეადგენს 1000 °C;
- წყლის გამაციებელი მილის შიდა დიამეტრი – 1200 მმ;

წვის კამერა

- ტიპი-რეფრაქტორული;
- შიდა ზომები – 3 * 4 * 5 მეტრი;
- პირველადი კვამლის ნაკადის მოცულობა –70 000 ნმ³/სთ;
- აირების ტემპერატურა გამოსასვლელზე წვის შემდეგ -- 1000 °C;

წვის კამერის წყლის გამაციებელი ქვედა მილი

- მილსადენის შიდა დიამეტრი – 1100 მმ;
- სიგრძე - 30 მეტრი;
- კვამლის ნაკადის მოცულობა –70 000 ნმ³/სთ;
- შესასვლელის შიდა/გარე ტემპერატურა - 1000 °C / 550 °C;

ბუნებრივი გამაციებელი

- რაოდენობა - 1;
- გაზის ნაკადის მოცულობა –70 000 ნმ³/სთ;
- ჯამური გაცვლითი ზედაპირის ფართი – 1600 მ²;
- კვამლის ტემპერატურა შესასვლელზე – 600 °C;
- კვამლის ტემპერატურა გამოსასვლელზე – 280 °C;

ციცხვ-ღუმელის მოძრავი ზონტი

- აირების ნაკადის მოცულობა – 45 000 ნმ³/სთ;
- ტემპერატურა შერევის წერტილში – 120 °C;
- მილის სიგრძე – 80 მეტრი;

- მილის შიდა დიამეტრი – 1100 მმ.

ამწოვი ქოლგის აირების მეორადი ნაკადის მოცულობა

- აირის ნაკადის მოცულობა - 356000მ³/სთ;
- ტემპერატურა – 60 °C;
- ქოლგის ზომები - 11 * 11 * 7,5 მეტრი;
- შეკავების დრო – 3,5 წმ;
- მთავარი მილის დიამეტრი – 2,6 მეტრი;

ფილტრის შესასვლელზე ნაკადის მოცულობა:

დნობა/რაფინირება

- ამწოვი ქოლგის ნაკადის მოცულობა – 106 000 ნმ³/სთ;
- ტემპერატურა – 60 °C;
- ნაკადის პირველადი მოცულობა – 45 000 ნმ³/სთ;
- ტემპერატურა მექანიკურად
 - მართვადი გამაციებლიდან – 250 °C;
 - ციცხვ-ღუმელის შეწოვა – 41 680 ნმ³/სთ;
 - ტემპერატურა – 120 °C;
 - ნაკადის სრული მოცულობა – 246 680 ნმ³/სთ;
 - ტემპერატურა – 100 °C;
 - ნაკადის ფაქტიური სრული მოცულობა – 355 110 მ³/სთ;

ჩატვირთვა/გადმოტვირთვა

- ამწოვი ქოლგის ნაკადის მოცულობა – 291 755 ნმ³/სთ;
- ტემპერატურა – 60 °C;
- ციცხვ-ღუმელის შეწოვა – 41 680 ნმ³/სთ;
- ტემპერატურა – 120 °C;
- ნაკადის სრული მოცულობა – 471000 ნმ³/სთ;
- ნაკადის ფაქტიური სრული მოცულობა – 560 000 მ³/სთ;

ფილტრის დახასიათება

- ერთეულის რაოდენობა – 1;
- ტიპი – 190/32/8;
- სექციების რ-ბა – 8;
- სახელოების რ-ბა – 2880ც;
- სახელოების დიამეტრი – 0,130 მ;
- სახელოების სიგრძე – 6,1 მ;
- სრული ზედაპირი – 7 000 მ²

მუშა მდგომარეობა

ფაზა “A” (ერთი სექცია არ მუშაობს):

- ნაკადის მოცულობა – 355 110 მ³/სთ;
- ჰაერის კუთრი დატვირთვა ქსოვილზე - 0,87 მ/წთ;

ფაზა “B” (სექციები მუშაობენ):

- ნაკადის მოცულობა – 560 000 ნმ³/სთ;
- ჰაერის კუთრი დატვირთვა ქსოვილზე – 1,14 მ/წთ;
- მაქსიმალური კონცენტრაცია გამოსასვლელზე- ≤ 120მგ/ნმ³;

ჰაერის ნაკადის წნევა - რევერსიული.

ნაკადში გაწმენდისათვის

- წნევის მოთხოვნა – 0,5 მპა;
- მოხმარება – 10 ნმ³/წთ;
- ფილტრის მასალა – პოლიესტერი - 500 გრ/მ²;
- მაქსიმალური მუშა ტემპერატურა – 130 °C;

ცენტრიდანული კვამლმწოვი

- ერთეულის რ-ბა – 1;
- ტიპი – ცენტრიდანული;
- მუშა ბორბალი – მაღალი ეფექტურობის ტიპის;

კვამლის ნაკადის ეფექტური მოცულობა

ფაზა “A” – 355 110 მ³/სთ;

- კვამლის ტემპერატურა - 110°C;
- სრული წნევა - 110°C-ზე – 5 200 პა;
- მოხმარებული ენერგია - 110°C-ზე – 623 კვტ;

ფაზა “B” – 480000 მ³/სთ;

- კვამლის ტემპერატურა – 60 °C;
- სრული წნევა - 110°C-ზე – 3 800 პა;
- მოხმარებული ენერგია - 110°C-ზე – 615 კვტ;

ელექტრო ძრავა

ტიპი – AC;

- სიმძლავრე - 1250 კვტ;
- ძაბვა – 6,0 კვ.

საკვამლე მილი

- დიამეტრი – 3,4 მეტრი;
- კვამლის ნაკადის მოცულობა – 560 000 მ³/სთ;
- სიმაღლე – 30 მეტრი;
- მასალა – Q 235.

მტვრის კონვეიერი

მტვრის ხრახნისებრი კონვეიერი

- სიგრძე - 2 * 18 მეტრი;
- ძრავის სიმძლავრე – 2 * 7,5 კვტ;

ბუნკერის კონვეიერი

- სიგრძე - 8 მ;
- ძრავის სიმძლავრე – 1 * 2,2 კვტ.


სურათი 2.2.2.3.1. აირგამწმენდი სისტემის ხედები






საწარმოს მტვერდამჭერ სისტემაში დამონტაჟებულია შეწონილი ნაწილაკების (მტვრის) მუდმივი მონიტორინგის კვანძი, რომელიც საშუალებას იძლევა ტექნოლოგიური ციკლის მიმდინარეობისას ოპერატორი აკვირდებოდეს გაფრქვევების რაოდენობრივ მახასიათებლებს. სისტემა მთლიანად ავტომატიზებულია და ყველა მახასიათებელი გამოტანილია კომპიუტერის დისპლეიზე.

სურათი 2.2.2.3.2.




გაფრქვეულ აიებში მტვრის კონცენტრაციის მონიტორინგის სისტემის დისპლეი



მტვრის კონცენტრაციის მახასიათებლების აღრიცხვა

ნახაზი 2.2.2.3.1. აირგამწმენდი სისტემის სქემა



2.2.2.4 საგლინავი საამქრო


ნამზადი იტვირთება ბუნებრივ გაზზე მომუშავე მეორადი გახურების მიმწოლი ტიპის ლუმელში, საიდანაც ნამზადი მიეწოდება დგანზე არმატურის საწარმოებლად.

სამშენებლო არმატურა იწარმოება სრულად ავტომატიზებული იტალიური საგლინავი დგანის მეშვეობით.

მაღალი ხარისხის ნამზადი და თანამედროვე იტალიური წარმოების ტექნოლოგიის მქონე საგლინავი დგანი „თერმაქს QST“ (წრთობა და თვითწრთობა) პროცესით უზრუნველყოფს ყველა ქიმიური, მექანიკური და მეტალურგიული თვისებების თანაბარ გადანაწილებას.

საგლინავი საამქროს დანადგარებია: 575 მმ დიამეტრის მქონე პირველადი დამუშავების საგლინავი ვერტიკალური დგანი (დგანი 1), რომელიც გრძელდება 14 უჯრედიანი სწორხაზოვანი საგლინავი დგანით, ჯამში 15 საგლინავი დგანი. გლინვის სიჩქარე 12,5 მეტრი/წთ ბუნებრივ აირზე მომუშავე მეორადი გადახურების ლუმელი, სიმძლავრით 35ტ/სთ, არმატურის თერმომექანიკურად დასამუშავებელი სისტემა, მაცივარი, ცივი არმატურის საჭრელი დანები, შემფუთავი და ამწონი დანადგარი. არმატურის დიამეტრები 8-32 მმ.

სქემა 2.2.2.4.1. გლინვის პროცესის ტექნოლოგიური სქემა



საგლინ დგანში ნამზადის ჩაშვება (მიწოდება) ხდება ორი გზით: ცხელი ჩაშვება და ცივი ჩაშვება. ცივი ჩაშვების შემთხვევაში ნამზადის შემახურებელ ლუმელში ჩაშვება ხდება მაშინ, როდესაც ნამზადის ტემპერატურა იწევს 1170-1200°C ტემპერატურამდე. ამის შემდეგ, ნამზადი გადადის მომჭიმ დგანში გაგლინვის მიზნით. ცხელი ჩაშვების შემთხვევაში (იგეგმება მომავალში) ცხელი ნამზადი პირდაპირ გადადის მომჭიმ დგანში ამწე მოწყობილობის და როლგანგის საშუალებით. მომჭიმ დგანში გადასვლის პროცესში ნამზადის ტემპერატურა ვარდება. ნამზადის ტემპერატურის გაზრდის მიზნით, მომჭიმ დგანის წინ დამონტაჟებულია ინდუქციური გამაცხელებელი, რომლის საშუალებით ნამზადის ტემპერატურა მოიმატებს 200°C-ით. წინასწარ განსაზღვრული ზომების და ფორმის მიღწევის მიზნით, ნამზადი გაივლის მომჭიმ, შუალედურ და სასუფთაო საგლინ დგანებში. სასუფთაო საგლინ დგანის შემდეგ მოდის ორი ხაზი: სწორი არმატურის და გლინულას (სამავთულე ნამზადი) ხაზი.

არმატურის მზა ზომებია 8-32 მმ დიამეტრით. სასუფთაო საგლინავი დგანის შემდეგ არმატურა გაივლის თერმომექანიკურ დამუშავებას, რის შემდეგაც ხდება მისი გაგრილება. არმატურა იჭრება დამკვეთის მიერ მოთხოვნილ სიგრძეებად და ფორმებად და გადადის სასაწყობო მოედანზე.

გლინულას (იგეგმება მომავალში) ხაზის მზა პროდუქტი არის გლინულა დიამეტრით 6-14 მმ. სასუფთაო საგლინი დგანის შემდეგ გლინულა გადის წინასწარი გაგრილების ბოქსს, გამწევ გორგოლაჭებს და შედის სამავთულე ნამზადის ბოქსში, სადაც იღებს საბოლოო ზომას. ტემპერატურის დაწვევის მიზნით, გლინულა გაივლის წყლის ბოქსს. მზა ხვეულების ტრანსპორტირება ხდება კაკვიანი კონვეიერით ასაწონ სადგურამდე და შემდეგ, გადმოსატვირთი სადგურამდე.

სურათი 2.2.2.4.1. საგლინავი საამქრო



2.2.2.5 ჟანგბადის საამქრო

ადგილზე ფუნქციონირებს ჟანგბადის საამქრო წარმადობით 1500 ნმ³/სთ-ში ჟანგბადი და 1200 ნმ³/სთ აზოტი. იგი ასევე აწარმოებს არგონს როგორც გვერდით პროდუქტს. ჟანგბადის საამქროდან საჩამომსხმელო საამქროში ჟანგბადის მიწოდება ხდება მაღალი წნევის მილსადენის საშუალებით.

2.2.2.6 ზეთის დამუშავების უბანი

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნამუშევარი ზეთების აღდგენის მიზნით ტერიტორიაზე ცალკე გამოყოფილ სათავსში მოწყობილია ზეთების გადამუშავების უბანი, სადაც წარმოებს გამოყენებული ზეთების აღდგენა. ზეთების გაფილტვრის უბანზე არის 2 ელ. სტატიკური გამწმენდი და 2 მექანიკური ფილტრი. ნამუშევარი ზეთი გროვდება რეზერვუარში, რომელზეც მიერთებულია ფილტრები ტუმბოებით. ზეთის წმენდისას ცირკულაცია მიმდინარეობს ჰერმეტიკულად დახურულ სისტემაში.

რეზერვუარის მოცულობაა 2.75 მ³, რეზერვუარის სიმაღლე 2 მ, რეზერვუარის სასუნთქი მილის დიამეტრი 0.05 მ, ტუმბოს წარმადობა 0.1 მ³/სთ.

წლის განმავლობაში უბანზე გადამუშავებული ზეთის რაოდენობა შეადგენს 1700 ლიტრს ანუ (x 0.9) 1530კგ-ს. ზეთის გადამუშავების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების (შლამი და ზეთის ფილტრები) დროებით დასაწყობება ხდება სახიფათო ნარჩენების საწყობში და დაგროვების შესაბამისად სხვა ნარჩენებთან ერთად გადაეცემა შესაბამის კონტრაქტორ კომპანიას.

სურათი 4.2.2.6.1. გამოყენებული ზეთების აღდგენის უბანი



2.3 წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების არინება

საქმიანობის განხორციელების პროცესში წყალი გამოიყენება, როგორც სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, ასევე ტექნოლოგიურ ციკლში საწარმოო მიზნით (ბრუნვითი გაგრილების სისტემისთვის). სასმელი წყლით მომარაგება ხდება ქ. რუსთავის წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო საწარმოს წყალმომარაგება, გარდაბნის არხიდან (ე.წ. „მარინის არხი“), შპს „საქართველოს მელიორაცია“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს წარმადობის გაზრდის შემთხვევაში საწარმოში დასაქმებული პერსონალის მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არ არის, კერძოდ: დასაქმებული ადამიანების რაოდენობა 400-დან შეიძლება გაიზარდოს 500-მდე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ანალოგიური საწარმოებისათვის ერთ მომუშავეზე დახარჯული წყლის რაოდენობა შეადგენს 45 ლ-ს, ხოლო საწარმოს სამუშაო დღეების რაოდენობა წლის განმავლობაში იქნება 320, საჭირო სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა იქნება:

$$500 \times 45 = 22\,500 \text{ ლ დღ/დამე, ანუ } 22.5 \text{ მ}^3/\text{დღ};$$

$$22.5 \times 320 = 7\,200 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

საწარმოს ტექნოლოგიური წყლის (არხიდან აღებული) მიწოდება ხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ნედლი წყლის სალექარში, სადაც ასევე ემატება საწარმოდან მიღებული გაწმენდილი წყალი. სალექარიდან ამოღებული ლამის განთავსება ხდება სალექარის მიმდებარედ არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე, რომელიც დაფარულია მყარი საფარით. ლამის შრობის პროცესში წარმოქმნილი წყალი ჩაედინება სალექარში.

როგორც მიმდინარე ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით წყლის გამოყენება მოხდება ღუმელის და სხვადასხვა სისტემების გაგრილებისთვის. გაგრილების სისტემის დანიშნულებაა შემდეგი:

- გამტარი მილების გაგრილება;
- ელექტროდების სამაგრების გაგრილება;
- ელექტროდის დამჭერი რკალის გაგრილება;
- ასევე ღუმელის დამჭერი კონსტრუქციის გაგრილება, რომელიც შესაძლებელია მოექცეს მაღალი ტემპერატურის ქვეშ.

სრული ცირკულაციის გავლის შემდეგ წყალი იგზავნება წყლის გაგრილების ერთეულში (კომპურაში), რომლის შემდეგ მოხდება მისი უკან საწარმოში დაბრუნება იმავე დანიშნულებით (ჩაკეტილი ციკლით).

საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების არინების მიზნით საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია წყალშემკრები არხები, საიდანაც წყალი მიეწოდება სალექარებს (ტერიტორიაზე მოწყობილია 3 სალექარი), ხოლო სალექარებიდან გაწმენდილი წყლის ჩაშვება ხდება საწარმოს ტერიტორიის გარეთ გამავალ ქალაქის ღია სანიაღვრე არხებში. აღსანიშნავია, რომ საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი არსებობს მხოლოდ შეწონილი ნაწილაკებით. ჯართის უბნის ტერიტორიაზე არსებული საწვავის სამარაგო რეზერვუარი და გასამართი წერტილი განთავსებულია ბეტონის ზღუდარით შემოფარგლულ მოედანზე და ავარიულად დაღვრის შემთხვევაში ნავთობპროდუქტის ტერიტორიაზე გავრცელების რისკი მინიმალურია.

სურათი 4.3.6.1 სანიაღვრე წყლების ერთ-ერთი სალექარი საწარმოს ტერიტორიაზე



2.3.1 საწარმოს წყლის სისტემის დახასიათება

საწარმოს ტექნიკური დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის საშუალებით, რომელშიც წყლის დანაკარგი აორთქლების, გადმოდინების და სხვა მიზეზების გამო კომპენსირდება არხის წყლის დამატების საშუალებით. ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემები გათვალისწინებულია წყლის მაქსიმალურად დასაზოგად. ფოლადის სადნობი საამქროს, ფოლად საგლინავ საამქროს და ჟანგბადის საამქროს გააჩნია განცალკევებული ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემები.

2.3.1.1 ფოლადის სადნობი საამქროს წყალმომარაგების სისტემა

ფოლადის სადნობი საამქროში დანერგილია ორი განცალკევებული ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, კერძოდ:

- რბილი წყლის სისტემა (სუფთა წყლის სისტემა);
- დაბინძურებული წყლის სისტემა.

ა) სუფთა წყლის სისტემას აქვს ორი ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, კერძოდ:

- ICW სისტემა №1A - დინების სართო სიჩქარე 1100 მ³/სთ@0.7 მგპა წნევა, რათა შეესაბამებოდეს EAF-ის, LF-ისა და FES-ის კომბინირებულ სისტემებს;
- ICW სისტემა № 2A - დინების სართო სიჩქარე 400 მ³/სთ@0.8 მგპა, რათა შეესაბამებოდეს ყალიბისა და მანქანის გაგრილების მოთხოვნებს ნამზადის ჩამომსხმელში..

თითოეული სისტემა შედგება:

- RCC ნაგებობაში მდებარე ცივი წყლის რეზერვუარისაგან, რომელიც აღჭურვილია გამაგრილებელი კომპეხით (შხეფსაცივარით);
- მუშა და სარეზერვო ცენტრიდანული ტუმბოძრავებისაგან, რათა საჭირო წნევით მიაწოდოს წყალი ცივი ჭიდან სხვადასხვა დანადგარებს გასაგრილებლად;
- ურთიერთ დამაკავშირებელი მილებისა და ონკანებისაგან მიწოდებისა და ბრუნვითი წყალმომრავების ხაზებისათვის. დამაბრუნებელმა ხაზმა უნდა გადაღვაროს წყალი პირდაპირ შხეფსაცივარში. ამგვარად, სისტემას არ აქვს ცხელი წყლის რეზერვუარი;
- ცივი წყლის რეზერვუარისათვის დამატებითი წყლის მიწოდების ხაზისაგან.

ელექტროენტრგის გამორთვის შემთხვევისათვის, ვიდრე ჩაირთვება ავარიული დენის წყარო, EAF-ის, LF-ის and CCM-ის ყალიბისა და დანადგარის გაგრილებისთვის წყლის მისაწოდებლად იყენებენ ავარიული (სარეზერვო) ზემო რეზერვუარს, რომლის საყრდენის სიმაღლეა 25 მ-ია. მას აქვს ორი (2) კონცენტრული კამერა. შიდა კამერის მოცულობა არის 50 მ³, რათა შეეძლოს ნამზადის ჩამომსხმელის, ყალიბისა და დანადგარის გაგრილება. გარე კამერის მოცულობა - 100 მ³, რათა შეესაბამებოდეს EAF-ისა და LF-ის მოთხოვნებს. კამერები ივსება შესაბამისი ცირკულაციის სისტემების სარეზერვო ტუმბოების ჩართვით. დამატებით დაყენებულია დიზელის ძრავაზე მომუშავე ტუმბო, რაც წარმოადგენს კამერების გავსების ალტერნატიული საშუალებას.

ბ) დაბინძურებული წყლის ცირკულაციის სისტემა ფოლადსადნობი საამქროსათვის

დაბინძურებული წყლის სისტემა, განსაზღვრული როგორც DCW სისტემა №1A, რომელიც შეესაბამება გაფრქვევით გაგრილების და ღია მანქანის გაგრილების მოთხოვნებს ნამზადის ჩამომსხმელისათვის და შედგება:

- RCC ნაგებობაში მყოფი მიწისქვეშა სალექარი ჭისაგან, რათა შეაგროვოს დაბრუნებული დაბინძურებული წყალი და უზრუნველყოს დაახლოებით 30 წუთი 100 μm-ის ზომამდე ნადების დასალექად;
- 1 მომუშავე და 1 სარეზერვო ცენტრიდანული ტუმბოსგან, რათა გადაგზავნოს წყალი სალექარი ჭიდან შხეფსაცივრამდე წნევის ფილტრის გავლით;
- 1 მომუშავე და 1 სარეზერვო წნევის ფილტრისგან დამაბინძურებლის მოსაცილებლად;
- RCC ნაგებობაში მდებარე ცივი წყლის რეზერვუარისაგან, შხეფსაცივარით რომელიც დაყენებულია ზემოთ;
- 1 მუშა და 1 სარეზერვო ცენტრიდანული ტიპის ტუმბოსგან, რათა მიაწოდოს ნამზადის ჩამომსხმელს გამაგრილებელი წყალი ცივი წყლის რეზერვუარიდან;
- ურთიერთ შემაერთებული მილებისა და ონკანებისაგან;
- დამატებითი წყლის სისტემის ხაზისაგან, რომელიც მიემართება სალექარისაკენ.

2.3.1.2 საგლინავი საამქროს წყლით მომარაგება

საგლინავ საამქროს აქვს სამი ბრუნვითი გაგრილების სისტემა, კერძოდ:

- საწარმო სუფთა წყლის სისტემა, განსაზღვრული როგორც ICW სისტემა №1B, რომელიც შეესაბამება სითბოს გადამცემთა შეზეთვის სისტემას, საამქროს ჰიდრავლიკურ სისტემას, BRF-ს და სხვა.
- უშუალო შეხების წყლის სისტემა, განსაზღვრული როგორც DCW სისტემა № 1B, რომელიც შეესაბამება ხელახალი გახურების ღუმელის ექვტორს და მიმმართველს;

- უშუალო შეხების წყლის სისტემა, განსაზღვრული როგორც DCW სისტემა # 2B, რომელიც შეესაბამება თერმო-მექანიკური დამუშავების (TMT) ხაზს ძელაკის ინტენსიური ოპერატიული გაგრილებისთვის.

საწარმოს ტექნიკური წყალმომარაგების სისტემისათვის წყალაღება ხდება გარდაბნის არხიდან (ე.წ. მარინის არხი).

2.3.1.3 ჩამდინარე წყლები

გამოყენებული წყალი უწყვეტი ჩამომსხმელი მანქანის სალექარი რეზერვუარიდან, ასევე საგლინავი საამქროსა და TMT ხაზის სალექარი რეზერვუარიდან შეიცავს ზეთსა და საგოზავს, რომელიც წყალს ცილდება ნავთობდამჭერი დანადგარით. გამწმენდ დანადგარში დაგროვებული ზეთები თავსდება სპეციალურ კასრებში და ინახება სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების სათავსში და დაგროვების შესაბამისად შემდგომი მართვისათვის გადაეცემა შესაბამის კონტრაქტორ კომპანიას.

ნავთობდამჭერიდან გაწმენდილი წყალი მიეწოდება ტერიტორიაზე არსებულ ნედლი წყლის სალექარში და შემდგომ ისევ ბრუნდება სისტემაში შემდგომი გამოყენების მიზნით.

საწარმოს ტექნოლოგიური წყლის გამწმენდი ნაგებობიდან წლის განმავლობაში ამოიღება დაახლოებით 30 ტ შლამი, რომელიც დროებით (გაუწყლოების მიზნით) სალექარის გვერდზე იყრება და შემდგომ გადის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე.

სურათი 4.3.6.4.1.



ნავთობდამჭერის რეზერვუარი



ამოღებული ნავთობპროდუქტების შეგროვების სისტემა



ნედლი წყლის სალექარი

2.3.2 ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

ქარხნის ტერიტორიაზე სახანძრო წყლის რეზერვუარის ფუნქციას ასრულებს ნედლის წყლის სალექარი, რომელც ქარხანაში მიმდინარე ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით სისტემატურადაა შევსებული წყლით. ქარხნის ყველა ობიექტზე მოწყობილია სახანძრო წყლის ჰიდრანტები, რომელთა რაოდენობა შეადგენს 23-ს. გადა აღწერილთა გააჩნიათ მობილური სახანძრო ერთეული, რომელიც შედგება ტუმბოსგან. კომპანიას ასევე გააჩნია სხვადასხვა სახის პორტატული ცეცხლმაქრები.

2.3.3 დასაქმება და სამუშაო გრაფიკი

ამ ეტაპზე საწარმოში დასაქმებულია 400 ადამიანი. საწარმო მუშაობს უწყვეტი რეჟიმით, 24 საათიანი სამ ცვლიანი სამუშაო გრაფიკით. წელიწადში სამუშაო დღეების რაოდენობა შეადგენს 320 დღეს.

3 დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა

მიუხედავად იმისა, რომ ემისიების უდიდესი ნაწილის გაწოვა ხდება კვამლსადენიდან, კვამლის გარკვეული ნაწილი მაინც აღწევს ღიობებიდან. შესაბამისად იგეგმება სხვადასხვა ზომები გამწოვი სისტემის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საწარმოს აირგამწმენდი სისტემის მექანიკური გამაგრილებლის (ნაპერწკალჩამქრობის) არსებული კონსტრუქცია ვერ უზრუნველყოფს აირმტვერნარევის ნორმირებულ გაგრილებას და მასში არსებული ნაპერწკლების სრულყოფილ ჩაქრობას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქსოვილოვანი ფილტრების ექსპლუატაციის პირობებზე, კერძოდ: ფილტრებში მოხვედრილი ნაპერწკალი იწვევს ფილტრის ქსოვილის დაზიანებას, რაც ამცირებს გაწმენდის ეფექტურობას და იქნება ზენორმატიული გაფრქვევის რისკი.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, შპს „ჯეოსთილს“ მიღებული აქვს გადაწყვეტილება შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარების თაობაზე, კერძოდ:


- საჩამომსხმელო საამქროში წარმოქმნილი არაორგანიზებული გაფრქვევების ორგანიზებული გატანის პირობების გაუმჯობესების მიზნით აირგამწმენდი სისტემის არსებული 480 000 მ³/სთ წარმადობის გამწოვი ვენტილატორი შეიცვლება, ახალი 560 000 მ³/სთ წარმადობის ვენტილატორით;
- ელექტრორკალური ღუმელის გამწოვ სისტემაზე დამატებით დამონტაჟდება 70 000 მ³/სთ წარმადობის ვენტილატორი, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს არაორგანიზებული ემისიების მოცულობებს;
- აირგამწმენდი სისტემის არსებული მექანიკური გამაგრილებლის ახალი თანამედროვე ტიპის მექანიკური გამაგრილებლით შეცვლა;
- ელექტრორკალური ღუმელის მუშაობის პროცესში წარმოქმნილი აირმტვერნარევის ნორმირებული გაგრილების და მასში არსებული ნაპერწკლების სრული ჩაქრობის და შესაბამისად ქსოვილოვანი ფილტრების დაზიანებისაგან დაცვის მიზნით, არსებული მექანიკური გამაგრილებელი შეიცვლება ახალი თანამედროვე ტიპის მექანიკური გამაგრილებლით;
- პირველადი და მეორადი აირსატარი სისტემების შეერთების შემდეგ გამონაბოლქვი აირების სრული შერევის, მტვრის მსხვილი ნაწილაკების დალექვის და აირებში დარჩენილი ნაპერწკლების სრულად ჩაქრობის მიზნით აირგამწმენდ სისტემაში დამატებით მოწყობა ცენტრიდანული სეპარატორი (ციკლონური ფილტრი).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაგეგმილი ღონისძიებები გათვალისწინებულია საწარმოს აირგამწმენდი სისტემის ექსპლუატაციის პირობების გაუმჯობესების და არაორგანიზებული


